ხაშურის მოამბე

№12 (434) 1 აპრილი, ორშაბათი, 2024 წელი

სამების საკათედრო ტაძარში, აფხაზეთში დაღუპული გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს

28 მარტს, სამების საკათედრო ტაძარში, აფხაზეთში დაღუპული გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს და მათი ოჯახის წევრებს მიუსამძიმრეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, მერის მოადგილე ზვიად ქურდაძემ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ლევან გამრეკელმა და მუნიციპალიტეტის მერიის სხვა ოფიციალურმა პირებმა.

სამების საკათედრო ტაძარში აფხაზეთიდან გადმოსვენებული, საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართა. სამშობლოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ გადმოსვენებულ მეომართაგან ორი ჩვენი მუნიციპალიტეტის მკვიდრია. ალექსი ქორთიაშვილი და ბესიკ ობოლაძე სამუდამო განსასვენებელს მშობლიურ ქალაქში ჰპოვებენ.

ქართველი მებრძოლების გადმოსვენება საქართველოს მთავრობის ძალისხმევით გახდა შესაძლებელი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულებს და მუნიციპალიტეტების მერებს შეხვდა.

მთავრობის მეთაურმა განხორციელებულ საკადრო ცვლილებებზე ისაუბრა და სახელმწიფო რწმუნებულებს და მუნიციპალიტეტების მერებს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ ტყემალაძე და შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული ლევან ხარაბაძე წარუდგინა.

შეხვედრაზე რეგიონებში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები განიხილეს და ცალკეულ მუნიციპალიტეტებში არსებულ საჭიროებებზე იმსჯელეს. პრემიერ-მინისტრმა სახელმწიფო რწმუნებულებს და მუნიციპალიტეტების მერებს მიმდინარე და განსახორციელებელი პროექტების მიმართულებით სრული მხარდაჭერა აღუთქვა.

გუბერნატორებმა და მერებმა მთავრობის მეთაურისგან კონკრეტული დავალებები მიიღეს.

ქარელში, შიდა ქართლის საკონსულტაციო საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ლევან ხარაბაძის ხელმძღვანელობით საკონსულტაციო საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა. შეხვედრას რწმუნებულის პირველი მოადგილე სიმონ გულედანი, ქარელისა და ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატი ზაალ დუგლაძე, მუნიციპალიტეტების მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენლები დაესწრნენ.

სხდომაზე 2024 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობა განიხილეს. როგორც მუნიციპალიტეტების მერებმა აღნიშნეს, ინფრასტრუქტურული სამუშაოები გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. გარდა ამისა, საბჭოს წევრებმა შიდა ქართლის რეგიონში განსახორციელებელი ახალი პროექტებიც მოიწონეს.

შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულთან არსებული სამხარეო საკონსულტაციო საბჭო 3 თვეში ერთხელ იკრიბება.

- 21 მარტი დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეა -

შეხვედრა „მომავლის სახლის“ აღსაზრდელებთან

21 მარტს, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, „მომავლის სახლში“ იმყოფებოდნენ და აღსაზრდელები ტკბილეულით გაახარეს.

გაიმართა მცირე საზეიმო პროგრამაც.

ღონისძიება ორგანიზებული იყო მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ.

21 მარტი დაუნის სინდრომის მსოფლიო დღედ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით 2011 წლის 10 ნოემბერს დაწესდა.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ამ დღეს, დაუნის სინდრომის შესახებ, ცნობადობის ამაღლების მიზნით, სხვადასხვა ღონისძიებები იმართება, მათ რიცხვშია საქართველოც.

გორში, სპორტის კომიტეტის გასვლითი სხდომა გაიმართა

სპორტის კომიტეტის გასვლით სხდომაზე შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში სპორტის პოლიტიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხები განიხილეს. სხდომა გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა. კომიტეტის თავმჯდომარის, ირაკლი მეძმარიაშვილის განცხადებით, კომიტეტი, გასვლითი სხდომების ფორმატში, საქართველოს რამდენიმე რეგიონს უკვე ეწვია და ადგილზე გაეცნო იმ წარმატებებსა თუ გამოწვევებს, რომელიც ადგილობრივ სპორტულ საზოგადოებას აქვს.

შეხვედრას შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული ლევან ხარაბაძე დაესწრო. მისი თქმით, შიდა ქართლის რეგიონში ბევრი წარმატებული სპორტსმენი აღიზარდა და ადგილობრივი ხელისუფლება ძალისხმევას არ აკლებს, რომ დიდი სპორტული ტრადიციები გაგრძელდეს. შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის განცხადებით, სხვადასხვა სპორტული ტურნირების გამართვასთან ერთად, სახელმწიფო რწმუნებულის ადინისტრაციის ინიციატივითა და რეგიონის მუნიციპალიტეტების მხარდაჭერით სპორტის სახეობებში „საზაფხულო სპორტული თამაშები“ ტარდება.

კომიტეტის გასვლით სხდომაზე გორის, ხაშურის, კასპისა და ქარელის მუნიციპალიტეტების მერებმა მათ ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებულ სპორტულ ინფრასტრუქტურასა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს. გამომსვლელებმა გორში, ხაშურსა და კასპში საცურაო აუზების აშენების მნიშვნელობაზე, დამატებით სპორტული მოედნების მშენებლობაზე, არსებული დარბაზების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე და მწვრთნელების ანაზღაურების საკითხებზეც იმსჯელეს.

როგორც შეხვედრაზე ირაკლი მეძმარიაშვილმა აღნიშნა, იმისათვის, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს სპორტის ხელშეწყობისთვის მეტი რესურსი და საშუალება მიეცეს, კომიტეტის კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანაზე მუშაობს. კომიტეტის თავმჯდომარის შეფასებით, რეგიონში მნიშვნელოვანი სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა, რის გამოც სპორტის მიმართ ახალგაზრდების დაინტერესება მნიშვნელოვნად გაიზარდა. მისივე თქმით, საცურაო აუზის მშენებლობა სოლიდურ ფინანსებს უკავშირდება და კომიტეტი მზად არის სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების პროცესში

შესაბამის სამინისტროებთან აღნიშნულ საკითხზე ისაუბროს.

გასვლითი სხდომა სპორტული ინფრასტრუქტურის დათვალიერებით გაგრძელდა. კომიტეტის წევრებმა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, გურამ პაპიტაშვილის სახელობის ძიუდოს დარბაზი, ნუგზარ სხირელის სახელობის ჭიდაობის დარბაზი, კრივის დარბაზი, შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსური სპორტული სკოლა და ხაშურის სპორტული სტადიონი დაათვალიერეს.

ფრანკოფონიის კვირეულთან დაკავშირებით, ხაშურის ახალგაზრდულ სივრცეში ღონისძიება გაიმართა

დამსწრეთ, საზეიმოდ მიმართეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მაკა დიდებულიძემ, მერიის

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელმა ნინო სუხიაშვილმა, ხაშურის საგანმანათლებლო დაწესებულების რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ზვიად გოგუაძემ.

ღონისძიების საპატიო სტუმრები იყვნენ საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის დირექტორი და საფრანგეთის ელჩის მრჩეველი კულტურისა და თანამშრომლობის საკითხებში კამილ ნორა და ატაშე ლინგვისტური და საგანმანათლებლო თანამშრომლობის დარგში, ქეთევან ქურციკიძე.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლევან გამრეკელი, მერის მოადგილე ზვიად ქურდაძეს, მუნიციპალიტეტისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები.

საზეიმო ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის „კულტურის ცენტრების გაერთიანება და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრი“, მუსიკოსი ფატი სადაღაშვილი, მომღერალი ირენ ავაქიანი, მარიამ ობოლაძის სტუდიის აღსაზრდელები, „ოქროს ფარის“ მოცეკვავეები, #8 საჯარო სკოლის მოსწავლეები.

ღონისძიების დასასრულ, ფრანგული ენის სპეციალისტმა თამარ ხარაზიშვილმა საინტერესო პრეზენტაცია წარმოადგინა.

“ფრანკოფონიის კვირეულს 2024”-ს ორგანიზებას უწევს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

ხაშურში გამართული ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია,

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრი, მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური, ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისთვის.

- მონაწილეობითი ბიუჯეტირება -

შეხვედრა სოფელ ალის მოსახლეობასთან

ხაშურის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირების პროექტი, მიმდინარე წელს, ალში, სარმანიშვილის კარში და სათივეში განხორციელდება. ადგილობრივ ბიუჯეტში პროექტისთვის 300 000 ლარია გამოყოფილი, საიდანაც თითოეულ სოფელზე 100 000 ლარი დაიხარჯება.

მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს წევრები - მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე, მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი ლელა მაჭარაშვილი, საკრებულოს წევრი ზაზა სხილაძე და მუნიციპალიტეტის მერიის სხვა წარმომადგენლები, სოფელ ალში მოსახლეობას შეხვდნენ, სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირების პროცედურები დეტალურად გააცნეს და შეკითხვებს უპასუხეს.

საპროექტო იდეის წარმოდგენა ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია 14 წლის ასაკიდან, გარდა მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს თანამშრომლებისა და საკრებულოს წევრებისა.

საპროექტო იდეები, რომლებიც წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს, გადავა კენჭისყრის ეტაპზე, სადაც გამარჯვებული პროექტი ფარული ხმის მიცემით გამოვლინდება.

მონაწილეობითი ბიუჯეტირება არის ნებაყოფლობითი, უნივერსალური და უშუალო (პირდაპირი) დემოკრატიის პროცესი, რომლის საშუალებითაც ხალხი აწარმოებს დიალოგს და იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტისა და სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ. მოქალაქეები არ შემოიფარგლებიან მხოლოდ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრთა არჩევნებით, არამედ უშუალო მონაწილეობას იღებენ საბიუჯეტო პრიორიტეტების დადგენისა და სახელმწიფო ხელისუფლების კონტროლის პროცესებში.

საპროექტო განაცხადის წარდგენა შესაძლებელია 15 აპრილამდე დადგენილი ფორმატით.

საპროექტო იდეის წარსადგენად საჭიროა მარტივი სააპლიკაციო ფორმის შევსება. სააპლიკაციო ფორმა ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა მომსახურების ბიუროში (ხაშური, ტაბიძის ქ.N2), სოფელ ალის ადმინისტრაციულ ერთეულში, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ გვერდზე: khashuri.gov.ge ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ გვერდზე: www.khashuri.org.ge

წარმოდგენილი საპროექტო იდეით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტის მინიმალური ღირებულება უნდა იყოს 50 000 ლარი, ხოლო მაქსიმალური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს სოფელ ალისთვის გამოყოფილ თანხას - 100 000 ლარს

მონაწილეობითი ბიუჯეტირების მხარდასაჭერად მოქმედებს ელექტრონული პლატფორმა - Civic Budgeting -Khashuri . სამოქალაქო ბიუჯეტირება ხაშურის მუნიციპალიტეტში.

პროექტები, რომელიც ყველა კრიტერიუმს დააკმაყოფილებს, გადავა კენჭისყრის ეტაპზე. გაიმარჯვებს ის პროექტი, რომელიც მოსახლეობის ყველაზე მეტ მხარდაჭერას მოიპოვებს. გამარჯვებული პროექტი 2024 წლის

ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

კენჭისყრაში მონაწილეობის მიღება შეუძლია სოფელ ალში რეგისტრირებულ ყველა მოქალაქეს, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა 18 წელი;

კენჭისყრა ჩატარდება სოფელ ალში, ფარულად.

გამარჯვებულ პროექტს მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭო განსახორციელებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერიას. გამარჯვებული პროექტის ავტორი/ავტორთა ჯგუფი მოწვეულ იქნება მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შემადგენლობაში და მონაწილეობას მიიღებს შერჩეული პროექტის განხორციელების მონიტორინგის პროცესში;

მონაწილეობითი ბიუჯეტირების მეთოდოლოგიის შემუშავება განხორციელდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ-ის მხარდაჭერით.

ხაშურში აქტიურად მიმდინარეობს „წყალმომარაგებისა და წყალარინების" სისტემების რეაბილიტაციის პროექტი

პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ სამუშაო შეხვედრას, რომელიც ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა, ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე, მუნიციპალიტეტის თანამშრომლები,

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისა და საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულ კონტრაქტორ თურქული კომპანიის- „JV of YDA Insaat Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi & Ardem Yapi Gayrimenkul Insaat Taahut Akar. Mad. Tic. A.S" წარმომადგენლები.

გადაწყდა, რომ აღნიშნული ხასიათის შეხვედრები, ყოველ კვირეულად გაიმართება, რაც მოემსახურება, პროექტთან დაკავშირებით, მოსახლეობის მეტად ინფორმირებულობას.

დღეის მდგომარეობით, ხაშურში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები მოძველებულია, რაც ადგილობრივებს პრობლემებს უქმნის. ქალაქს წყალი დღის განმავლობაში რამდენიმე საათით მიეწოდება. მასშტაბური პროექტის დასრულების შემდეგ ქალაქ ხაშურის მოსახლეობის, დაახლოებით 30 000 ადამიანი, 24 საათიანი წყალმომარაგებითა და წყალარინების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით ისარგებლებს.

ქალაქ ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების" პროექტი ხორციელდება საფრანგეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (AFD) ფინანსური მხარდაჭერით. აღსანიშნავია ისიც, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია დააპროექტებს ქუჩებს და იქ სადაც წყლის პროექტი განხორციელდება, ეტაპობრივად, მოაწესრიგებს საგზაო ინფრასტრუქტურასაც.

სურამში, ტაბიძის ქუჩის მეორე მონაკვეთზე ასფალტო-ბეტონის გზის მოწყობა მიმდინარეობს

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლევან გამრეკელი,მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გიორგი პაპიაშვილი ადგილზე იმყოფებოდნენ და მიმდინარე სამუშაოებს ეცნობოდნენ.

მათი განმარტებით, ამ ეტაპზე ხორციელდება ასფალტის პირველი ფენის დაგება. პროექტით გათვალისწინებულია ორი ფენა ასფალტის დაგება და სანიაღვრეების მოწყობა.

სამუშაოები ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ერთობლივად ფინანსდება და ღირებულება 324 062 ლარს შეადგენს.

აღსანიშნავია ისიც, რომ დაბა სურამში, ბოლო პერიოდის განმავლობაში, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, მოეწყო საგზაო ინფრასტრუქტურა, აშენდა პარკები და სკვერები. იგეგმება ცენტრალური სკვერის რეაბილიტაცია და იქნება მრავალი მნიშვნელოვანი სიახლე.

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3,#4,5,6,7,8,9,10,11)

საჯვარე - ადგ., სახნავი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ,,ჩემს მახსოვროაში აქ არაფერი არ მდგარა, არც რაიმე სალოცავი ყოფილა, თუნდაც რაიმე ნიშანი ან ნანგრევი. უბრალოდ საჯვარეს ეძახდნენ.“

ტილიანა – მდინარე ჩრდილოეთის მხარეს. ,,თათრებთან ბრძოლის შემდეგ აქ ქართველთა ლაშქარი დაბანაკებულა. ღამით წვიმა წამოსულა, წყალი მოვარდნილა და მძინარე ხალხი დაუხრჩვია. ეს ამბავი მეფისთვის შეუტყობინებიათ. მეფე მოსულა, უნახავს პატარა მდინარე და უთქვამს –ამ ტილიანმა წყალმა ეს ამბავი უნდა დაგვაწიოსო!

დამხვრჩვალი მეომრები წამოუყვანიათ იქ სადაც დღეს გორათს ვეძახით და იქ დაუკრძალავთ. მიწა მოუზიდიათ და საფლავებზე დაუყრიათ. დიდი გორა წარმოქმნილა.

ამ ამბის შემდეგ პატარა მდინარეს, რომელმაც მოლაშქრეები დაახრჩო ტილიანა, ხოლო იმ ადგილს სადაც ისინი დაკრძალეს – გორათი ეწოდა“.

ქიმერიძეების უბანი – ადგ., უბანი. ,,აქ ქიმერიძეები ცხოვრობდნენ.“

წვრიმალა ტყე – ადგ., ტყე ჩრდილოეთის მხარეს. ,,ტყე სულ გაჩეხილი იყო ადრე. წვრილი ხეები იყო წამოზრდილი. იმასაც ჩეხავდნენ, კონებად კრავდნენ, მოჰქონდათ სახლებში და თონეში იყენებდნენ“. ხმალაძეების უბანი - უბანი, ,,აქ ხმალაძეები ცხოვრობდნენ.“

სოფელი ოსიური

აზარმელის მიწა – ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს. ზღუდაძეების 1930 წლის გაყრის განაჩენით კოსტა ზღუდაძეს ერგო ,,...სახნავ მიწებში აზარმელის მიწა ერთი დღიური”.

აზარმელის ნავენახარი – ადგილი ჩრდილოეთის მხარეს.

ასჰექტრიანი – ადგ., სათესი.

არუწასშვილის გიორგის მიწა - ადგ; იხ. ვარდანასშვილისეული მიწა.

ბადაგაური - ადგ., სათესი, წყარო, საძოვარი ქვედა ოსიურში აღმოსავლეთის მხარეს.

ბატონის ბაღები - ადგილი სამხრეთის მხარეს. ,,ხეხილის ბაღი იყო გაშენებული”.

ბაღების მიწა - ადგ., სახნავი. ზღუდაძეების 1930 წლის გაყრის განაჩენით გრიშა ზღუდაძეს: ,,...ერგო სახნავი მიწა - ერთი დღიური ბაღების მიწა” .

ბაღების ფარდი - ადგ., სახნავი

გოგიას წყარო - წყარო ქვედა ოსიურში აღმოსავლეთის მხარეს ბადაგაურზე.

დედაღვთისა - ადგ., სალოცავი ზემო ოსიურში დასავლეთის მხარეს.

დიდმინდვრის მიწა – ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს. იგივეა რაც დიდმინდორი(?). ზღუდაძეების 1930 წლის გაყრის განაჩენით კოსტა ზღუდაძეს ერგო ,,...სამ[ი] ჩარექი დიდმინდვრის მიწა” .

დიდმინდორი - ადგ., სათესი, სახნავი სამხრეთის მხარეს. ,,ოსიაურის ტყის გასწვრივ მტკვრის აყოლებაზე ხცისის გადასახვევიდან”.

ვარდანასშვილის მიწა - ადგ; 1786 წლის აგვისტოს ,,გასულს“ სოლომონ ხეროდინაშვილმა მიჰყიდა ბერუა ზურაბასშვილს: ,,...ყოვლისა კაცისა მოუდევარი ნასყიდობისა წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, ხეროდინასშვილმა სოლომონმა და შვილმა ჩემა მოსესამა და სახლისამა ჩემისამა მომავალმა. დაგვეჭირა და მოგყიდე შენ, ზურაბ[ა]სშვილსა ბერუასა და შვილსა შენსა ბაღდასარასა და ზურაბსა და გიგოლასა, ოსიაურს ჩემი ვარდანასშვილისეული მიწა. აქეთ ფარიამნისშვილის მიწის მიდგმამდინ, აქეთ სურამის მხრისკენ არუწასშვილის გიორგის მიწის მიდგმამდინ, ძეით გზამდინ და ქვეით კაკალათ ღელემდინა“. ვასილას წყარო – ადგ., წყარო აღმოსავლეთის მხარეს. ,,ბეგიჯანაშვილი ვასილა, ტრაქტორისტი იყო, წყალი მოდიოდა, მაგან შეაკეთა”. ზღუდერი - ადგ., სალოცავი სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში.

თუთები - ადგილი დასავლეთის მხარეს. ,,თუთები ჰქონდათ ძველად. – თუთებში მაქვს ნაკვეთიო,- იტყვიან”.

იონჯა//იონჯები – ადგ., სახნავი ზემო ოსიაურში. კაკალათ ღელე - ადგ; იხ. ვარდანასშვილისეული მიწა.

კიკილას წყარო – ადგ., წყარო აღმოსავლეთის მხარეს. ,,კიკილა ცაცანაშვილი იყო”.

კორაანთჭა – ადგ., ჭა ზემო ოსიაურში. მომდინარეობს კორაშვილების გვარიდან.

კოროხი//კოროხის მიწა – ადგ., სათესი, ტყე სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,ჭაობები ყოფილა, ქვედა ოსიაურის დასავლეთით”. ზღუდაძეების 1930 წლის გაყრის განაჩენით ვასო ზღუდაძეს სახნავი მიწებიდან ერგო ,,...ნახევარი დღიური კოროხის მიწა” .

ლაშის მიწა//ლაშის მიწები – ადგილი, სათესი ქვემო ოსიაურში. ზღუდაძეეის 1930 წლის გაყრის განაჩენით ვასო ზღუდაძეს სახნავი მიწებიდან ერგო ,,...ერთი დღიური ლაშის მიწა” .

ლევანიძის ნასახლარი- ადგილი დასავლეთის მხარეს. ,,ლევანიძე სიძე იყო ვეზირიშვილების და ცალკე ცხოვრობდა”.

ლექსოს ნაბაღარი – ადგ., სათესი აღმოსავლეთის მხარეს. ,,ლექსო ბუხრიკიძე იყო”. ლექსოს ქოხი – ადგილი აღმოსავლეთის მხარეს. ლექსოს ნაბაღარში. ,,ლექსოს ქოხთან კარგი პური ვჭამეთო,- იტყვიან”.

მელიგოხები//მელის გოხები – ადგილი სამხრეთით. ოსიაურის ტყის დასავლეთით ,,ადრე გაშვებული იყო, ახლა ხალხს დაურიგეს, მწირი მიწები იყო”.

ნაბაღრები – ადგილი, სათესი.

ნადელის მიწა – ადგ., სახნავი. ზღუდაძეების 1930 წლის გაყრის განაჩენით ვასო ზღუდაძეს სახნავი მიწებიდან ,,...ერგო ერთი დღიური ნადელის მიწა”..

ნაკალოვარი - ადგილი აღმოსავლეთის მხარეს. ,,მდინარე სურამულას პირზეა, ახლა კერძო კაცს აქვს, კალოები არ მახსოვს”. ,,კალო - სალეწავი ადგილი. ადგილი სალეწავი. ადგილი სალეწველი“.

ნაფუზარი//ნაფუძარი//ნაფუძრები - ადგილი ჩრდლოეთის მხარე. ,,ადრე სახნავი იყო, ახლა სამოსახლოებად დაურიგეს”. წისქვილის, რუს შესახებ გოგია ნასახჩიბაშის ნაიბის არსაზე დართულ ერკლე II-ის ოქმში აღნიშნულია: ,,ჩვენი ბრძანება არის აბაშიძე გიორგი, მერე ამ არზით ეს ჩვენი ნასახჩიბაშის ნაიბი არსე რომ ჩივის, წისქვილის რუს ვენახში გატარებაზე და ნაფუძარში; და თქვენ რათ უშლით ან როგორ დაეშლება”.

,,ნაფუზარი - ნაფუძარი, ნასახლარი... ახლო სახნავი... ნაფუძარი - იგივე ნაფუზარი“.

ნატბევი - ადგ., სახნავი. დოროთეზ კათალიკოსმა იტრიის ეკლესიას 1584 წლის ახლოს შესწირა ,,კიდევ სამი ხოდაბუნნი მიწანნი ოსიაურს, გასამზღვრული არის ნატბევშია” .

1700 წლის 12 აპრილს ანნა დედოფლის სიგელიდან ჩანს, რომ აღნიშნული ადგილი ლუბრუმასთან არის ახლოს.

ონიკას ბაღი - ადგილი.

ოსიაურის ტყე - ადგ., ტყე, მოხნარი ქვემო ოსიაურში სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს ოსიაურის ციხე - ადგ., ციხე სოფლის ცენტრში.

ოსიაურის ჭალა - ადგილი; ფიქსირდება XVIII ს-ის 20-იანი წლების საბუთში: ,,ჩვენი ბძანება [არის] იასაულო! მერმე ოსიაურის ჭალაში ჩხეიძის სამძღვრიდამე კოღუას ხოდაბუნის სამძღვრამდინ რაც მიწა იყოს შენი და უშენი ვახუშტი აბაშიძისათვის გვიბოძებია. ხელი აუმართერ და მიაბარეთ“.

პატარა მინდორი. – ადგ., სათესი ქვედა ოსიაურში

სათივე – ადგილი სამხრეთით. ,,დღეს, რომ საკრებულოა, თივა ითიბებოდა, სტადიონი რომ არის”.

სათივის ნაჭერი - ადგილი. საფიჩხულე - ადგილი; სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით საფიჩხულე იგივეა, რაც საპალურო (ს.ს. ორბელიანი,თხზ, IV(2), გვ.62). ეს უკანასკნელი კი ,,არს კეთილი სათევზე ადგილი სხვათა რითამე შესაპყრობელი“, ,,საპალურო ეწოდების ყოველთა საწყლისპიროსა ადგილთა თევზთა საპყრობელსა“.

საფიჩხულეზე ვეზირიშვილებს დავა ჰქონდათ ციციშვილებთან. 1806 წლის 2 ნოემბერს გორის ,,ოკრუჟომე ნაჩალნიკი“ პოლკოვნიკი მილევიჩი თავად გიორგი ვეზიროვის მეუღლეს ამასთან დაკავშირებით წერს: ,,მერე თქვენს საქმეზედ ერთობით ციციანთ ბარათი მივწერეთ, რომ დღეის იქით ისინი ვეღარაფერზედ ვერ შეგაწუხებენ. როგორც წინად მეფე[ე]ბის დროს გქონოდეს საფიჩხულე, ისევ ისე გააკეთებინეთ და თუ კიდევ დაგიშალონ და ან სხვა რიგად თავეთის ძალით შეგაწუხონ, კიდევ მე გამომიცხადე“.

საკოფჩხილე - ადგ., სათესი.

საქოხბაღები - ადგ., ბაღი სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს. ,,ამირხანოვი იყო, შემდეგ გააკულაკეს, ახლა კერძო ბაღებია”.

საწურბლე - ადგ., ჭაობი, სათესი ზემო ოსიაურში.

საწყლისპირო – ადგილი სამხრეთის მხარეს. გოგია ნასახჩიბაშის 1786 წლის 24 ნოემბრის არზაში ნათქვამია: ,,აბაშიძის კაცნი ჩამოვლენ ხოლმე და ჩემს მამულში საწყლისპიროს აკეთებენ” .

ერეკლე II-ის მინაწერში აღნიშნულია: ,,...ამის მამულში და ამის საწყლისპიროში ნურცარას გააკეთებენ” .

გოგია ნასაბჩიბაშს საწყლისპიროზე დავა აქეთ აქვს აგრეთვე ციციშვილებთან.

სერის ძირი – ადგ., სახნავი.

სურამულა - მდინარე, ჰყოფს ზემო და ქვემო ოსიაურს. ,,ფრონესაც ეძახიან, წვიმების შემდეგ, გუბეები რომ დადგება, იტყვიან რა ფრონე დადგაო. ქვიმაზე, რომ არის დამოკიდებული, ხან მოიმატებს, ხან დაიკლებს მდინარე, იმას ჰქვია ფრონე”.

აშისკრის არხი – არხი ქვედა ოსიაურში.

ტყის პირი – ადგ., სათესი.

ფარიამნისშვილის მიწა - ადგ; იხ. ვარდანასშვილისეული მიწა.

ღრმაღელე – ადგ., ღელე.

შარა გზა – გზა.

შუაველა – ადგ; სახნავი, სათესი. დოროთეოზ კათალიკოსმა 1584 წლის ახლოს იტრიის ეკლესიას შესწირა ,,კიდევ ნასყიდი მიწები შუა-ველას, ერთი ხოდაბუნი”.

იმავე ადგილზე უნდა იყოს საუბარი ანა დედოფლის 1700 წლის 12 აპრილის სიგელში, რომელშიც დაფიქსირეულია “ორს ველს შუა” .

ანა დედოფლის სიგელის მიხედვით შუა-ველა ლუბრუმასთან ახლოს არის.

ჭალა – ადგ; სათესი, საბოსტნე. დაბრუნდაშვილების 1952 წლის 15 იანვრის გაყრის განაჩენით ,,...სონია დიმიტრის ასულ დაბრუნდაშვილს... მისცეს... საბოსტნე ნაკვეთი ჭალაში” .

1952 წლის 9 აპრილის ბარბაქაძეების გაყრის განაჩენში ნათქვამია: ,,...ანა სოლომონის ასულ ბარბაქაძეს მიეცეს... ჭალაში საბოსტნე”.

,ჭალა - წყლის პირი ნაყოფიერი“, ,,წყლის პირი ტყიანი“ .

ჭალები - ადგ., საძოვარი, სათესი.

ჭალისუბანი - ადგ., უბანი ზემო ოსიაურში.

ხაჩიძეები – უბანი აღმოსავლეთის მხარეს. ,,გამოყოფილი იყო სოფლიდან, მარტო ხაჩიძეები ცხოვრობდნენ, ჭა ჰქონდათ, საბძელი, ორი აკაციის ხე იდგა და კალოები ჰქონდათ”.

ხვედაბუნის მიწა - ადგ., სახნავი. ზღუდაძეების 1930 წლის გაყრის განაჩენით სახნავი მიწებიდან გრიშა ზღუდაძეს ერგო ,,ერთი დღიური ხვედაბუნის მიწა” .

,,ხოდაბუნი - საბატონო დიდი ყანა, საბატონო ყანა, საპატრონო ყანა“ .

სოფელი ახალსოფელი

აზარმის მხარე – ადგ., სახნავი ჩრდილო-აღმმოსავლეთის მხარეს. ,,თუ სად მუშაობდნენ ნაკვეთში, იტყვიან: - აზარმის მხარესო”.

ახო - ადგ., სტადიონი სამხრეთის მხარეს. ,,ტყე იყო, გაჩეხეს და ახო გაუკეთებიათ. ახლა სტადიონია”. ,,საყანური გაკაფული, საყანური განაკაფი, ტყე განყენებული“ .

დოღლაური – ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს. ,,აქ დოღლაურის არხი გადის”.

ზემოხიდი - ადგ., ხიდი.

თათრების ნასახლერი – ადგილი დასავლეთის მხარეს. ,,თათრები ცხოვრობდნენ. ყველა იხოცებოდა ციებ-ცხელებით. ვერ გაიხარეს და გადავიდნენ იქიდან სხვაგან. ჩავარდნილი ადგილებია, ფერდობზეა”.

თედოს წყარო – ადგ., წყარო, სახნავი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,აქ ძველად ეკლესია ყოფილა”, ,,აქ არის ძველი ნამოსახლარი. აქ იყო ეკლესია, რომელიც მაცხოვრის სახელწოდებისა იყო. არ ახსოვთ. ეს ტერიტორია იხვნებოდა”. ,,პატარა ღელე ჩამოდის და იმ ღელეშია. თედო იყო მჭედლიძე, იმან ააშენაეს წყარო, მილი გაუკეთა და დაარქვეს ეს სახელი“.

კორომანი - ადგ., საძოვარი სამხრეთის მხარეს. ,,მანდ იყო ძალიან დიდი ბუჩქნარი. დღესაც არის შემორჩენილი კვრინჩხი, ასკილი”.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

„ბრიტიშ პეტროლიუმი“: - ხაშურის მუნიციპალიტეტი ნავთობის უდიდეს მარაგზე ზის

18 მარტს, მართლაც სასიხარულო და სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა უცნობილესმა ნავთობმომპოვებელმა კომპანიამ „ბრიტიშ პეტროლიუმმა“. როგორც მათ საკუთარ ვებგვერდზეა აღნიშნული, ხუთწლიანი კვლევების შემდეგ, უკვე დადასტურებულად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში, ქვეყნის დედაქალაქიდან 120 კილომეტრში, აღმოჩენილია ნავთობის უდიდესი საბადო, რომლის მოპოვება 2025 წლიდან დაიწყება.

ჩვენ დავუკავშირდით ამ კომპანიის საქართველოს წარმომადგენლობის მენეჯერს იან ვუდბორდს. გთავაზობთ მის საუბარს:

მოგეხსენებათ, ჩვენი კომპანია საქართველოში 2003 წლიდანაა. ამ ხნის მანძილზე, ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიაზე, ინტენსიური დაზვერვითი სამუშაოები მიმდინარეობდა. სხვათაშორის, ამ უდიდესი მარაგის აღმოჩენამდე, კახეთის მონაკვეთზე უკვე აღმოჩენილი იყო სამი საბადო, თუმცა მცირე მარაგებით. ეს ხდება 2005 – 2007 წლებში. ჩვენი სპეციალისტები, რომლებსაც უდიდესი გამოცდილება აქვთ, მაშინვე გამოთქვამდნენ ვარაუდს, რომ ეს სამი საბადო, ასე ვთქვათ, მხოლოდ მცირე ტოტი იყო უდიდესი რეზერვუარისა, რომელიც სადღაც, უახლოეს 150 – 200 კილომეტრში უნდა ყოფილიყო. ამის შემდეგ საქმეში ჩაერთო უახლესი ტექნოლოგიები და რაც მთავარია, კოსმოსური არქეოლოგია. დაახლოებით 30 ჭაბურღილი განთავსდა სხვადასხვა მონაკვეთზე, რომლებმაც შედეგი არ გამოიღო, მაგრამ კვლევა გრძელდებოდა. გასულ წელს სამი, ეგრეთ წოდებული, განივი ჭაბურღილი, რომლებიც არ მოითხოვენ მაღალ კოშკურას, განათავსეთ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში - წაღვლში, ნაცარგორასა და ყელეთში. პირველივე ცდები ძალზე იმედის მომცემი იყო. მიმდინარე წლის 20 იანვარს კი საბოლოო შედეგები შეჯამდა და უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ თქვენი მუნიციპალიტეტი ნავთობზე ზის. სულ ზერელე გამოკვლევებითაც კი საუბარია დაახლოებით 70 მილიარდ ბარელზე. ნავთობის თანმდევი ბუნებრივი გაზის რაოდენობა კი, სავარაუდოდ, 3-4 მილიარდი კუბური მეტრია. მომავალ კვირას, ინგლისიდან 100 კაციანი ჯგუფი ჩამოდის, რომლებიც უკვე ფართო სამუშაოებს დაიწყებენ. თქვენი ქვეყნის მთავრობასთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ჩვენს კომპანიას ამ საბადოების დამუშავებისა და მართვის უფლება 2040 წლამდე აქვს. თუ ჩვენი პროგნოზი სრულად დადასტურდა, რაშიც მე ეჭვიც არ მეპარება, შეიძლება დადასტურებულად ითქვას, რომ ევროპა საბოლოოდ იტყვის უარს რუსულ ენერგომატარებლებზე. თქვენი ქვეყნის ეკონომიკა კი ევროპაში ერთ-ერთი უპირველესი გახდება. უშუალოდ ხაშურის მუნიციპალიტეტი რაღაც კუვეიტის მსგავს არეალად იქცევა. რაც მთავარია, შეიქმნება, დაახლოებით, 20 ათასი სამუშაო ადგილი ყველაზე მაღალი ანაზღაურებით. რა თქმა უნდა, კვლევები კვლავაც გაგრძელდება, რადგან სპეციალისტების ვარაუდით, რეზერვუარის ბოლო კიდეები სამხრეთ საქართველოშია. 12 განივი ჭაბურღილი უკვე განთავსებულია ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში და მათ მონაცემებს უახლოეს მომავალში დავდებთ.

რა შეიძლება დავამატოთ ამ სასწაულ ინფორმაციას. მგონი, ისეა ჩვენი საქმე - ობოლს რომ კვერი გვიან, მაგრამ მაინც გამოუცხვა. სხვათაშორის, ჩვენს რაიონში ნავთობის არსებობა ისტორიულადაც დადასტურებულია. ცნობილია, რომ ტაშისკრის ბრძოლაში, სოფელ ხცისიდან აღებული „შავი წყალი“, რომელსაც ცეცხლი ეკიდებოდა, ფართოდ გამოიყენებოდა და დიდი მოურავი მას მტრის პირველი ეშელონის შემაკავებლად იყენებდა. „და ნახვეტრებიდან (გორათის მიდამოები გ.გ.) დაიძრა მტერი ტაშისკრისკენ. მუნ ცეცხლი შავი წყლისა დახვდათ წინ და უკუიქცნენ ვიდრე რბონამდის“, - წერს მემატიანე.

მოკლედ, წინ მართლაც უდიდესი და საოცარი აღმოჩენები გველის, რომელმაც ჩვენი ცხოვრება და ყოფა რადიკალურად უნდა შეცვალოს.

გ. გოგალაძე

მდინარე მტკვრის ხაშურის მონაკვეთი აუქციონზე გაიყიდა

25 მარტს დამთავრდა ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებული აუქციონი, სადაც გამოტანილი იყო მდინარე მტკვრის ხაშურის მონაკვეთი. ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა სამინისტროს აუქციონის დეპარტამენტის მოადგილეს ჯუმბერ ქარქაშაძეს. როგორც, მან ჩვენთან საუბარში აღნიშნა,

აუქციონი 8 იანვარს გამოცხადდა. მდინარის ეს მონაკვეთი, რომლის საერთო სიგრძე 12 კილომეტრია, სამლოტად იყო დაყოფილი - სოფელ სარმანიშვილის კარიდან - სოფელ რბონამდე, რბონიდან - გომამდე და გომიდან - სოფელ წრომამდე. თითოეული ლოტის საწყისი ღირებულება 100 ათასი ლარი იყო. აუქციონზე ვაჭრობის შემდეგ კი პირველი ლოტი გაიყიდა 540 ათას ლარად, მეორე 620 ათას ლარად, მესამე კი - 480 ათას ლარად. პირველი ორი მონაკვეთი შეიძინა შპს-მ „ქვიშხეთი - 2013, მესამე კი - ინდმეწარმემ ბადრი ულუმბელაშვილმა. თითოეულ მფლობელს, ხელშეკრულების თანახმად, აქვთ ვალდებულება, მდინარიდან არაუშორეს 200 მეტრის დაშორებით, ააშენონ თევზსაშენი, რომელშიც თევზის ცნობილ სახეობებს - ციმორს და ხრამულს (იგივე „ლურჯი“) მოამრავლებენ და ყოველწლიურად, მინიმუმ, 100 ათას ლიფსიტას გაუშვებენ მდინარის საკუთარ მონაკვეთზე. მათვე ეძლევათ უფლება საკუთარი მონაკვეთის სანაპიროებზე მოიპოვონ ქვიშა და მსხვილი ფრაქციის ქვა, ეგრეთ წოდებული „შებენის“ დასამუშავებლად. თუმცა, ყოველწლიურ მოპოვებას აქვს ზღვარი და იგი არ უნდა გასცდეს 20 ათას კუბურ მეტრს. ეკონომიკის სამინისტრო, ასეთი წარმატებული აუქციონის შემდეგ, უახლოეს დღეებში გამოაცხადებს მომდევნო აუქციონს, უკვე მდინარის ქარელის მონაკვეთის საკუთრებაში გადაცემის შესახებ. მისი დამთავრების შემდეგ კი, ღრმად გვწამს, საბოლოოდ დაესმება წერტილი ამ 30 კილომეტრიან ზოლში ბრაკონიერობის შემთხვევებს, სახელმწიფო კი კანონიერ შემოსავალს მიიღებს, - განაცხადა ბატონმა ჯუმბერმა.

ჩვენ შევხვდით ინდმეწარმე ბადრი ულუმბელაშვილსაც.

- ბატონო ბადრი, მდინარის ამ მონაკვეთის თქვენს საკუთრებაში გადმოცემის შემდეგ, შესაძლებელი თუ იქნება მოყვარული მეთევზეებისთვის ანკესით თევზაობა?

- დიახ, ჩვენ უკვე შევიმუშავეთ პროგრამა, რომლის თანახმადაც, თევზის ქვირითობის თვეებში - მისში და ივნისში - თევზჭერა შეწყდება. დანარჩენ პერიოდში ამის ნებას მივცემთ. თითოეული ანკესის ჯოხზე გადასახადი იქნება 15 ლარი. ამასთან, ანკესი უნდა იყოს მხოლოდ ერთნემსკავიანი. თუმცა, ეს მხოლოდ 2026 წლიდან დაიწყება. მანამდე კი სრულიად შეწყდება თევზჭერა, რომ მტკვარში არსებული თევზის ცნობილი სახეობები მომრავლდნენ და იმ ბუნებრივ ნიშნულს დაუბრუნდნენ, რომელიც ადრე იყო. სხვათაშორის, მე ვესაუბრე დანარჩენი ორი ლოტის მფლობელს და ისინიც ანალოგიურს ფიქრობენ.

- უკვე გადმოგეცათ საკუთრების ყველა დოკუმენტი?

- არა, ხელშეკრულებას ხელი 14 აპრილს მოეწერება მინისტრის მიერ.

მაშ, ასე - მდინარე ხაშურის მონაკვეთი გასხვისებულია. რა თქმა უნდა, დადებითი მოვლენაა, რომ ქვეყნის ბიუჯეტი ივსება. სხვა რა სიკეთეს მოგვიტანს ეს პრივატიზება, ამას დრო გვიჩვენებს.

გ. გოგალაძე

ნონა ფხიკიძე: - ყველაზე ბედნიერი მაშინ ვარ, როდესაც სხვა ადამიანებს ვანიჭებ ბედნიერებას...

მრავალმხრივი ქალბატონები ყავს ჩვენს მუნიციპალიტეტს, ისეთები, თავს რომ თავიანთი შრომით, ინდივიდუალიზმით იმკვიდრებენ და გამახსოვრებენ კიდეც. ნონა ფხიკიძეს ჩემი წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება-თუ სადმე ფოიერვერკებია, იქაა, მისი შემქმნელი და ორგანიზატორია-იქნება ეს მუნიციპალური თუ პერსონალური დღესასწაულები. სხვანაირად გრძნობს და ხედავს ყველაფერს. მისი შექმნილი ქორწილი ზუსტად ისეთია, როგორიც შენ გინდოდა, ნათლობაც, ბოლო ზარიც-ყველა დეტალი, ყველა წვრილმანი ისეა ნაფიქრი, როგორც იფიქრებდი, ან გენდომებოდა-გისმენს, გთავაზობს, გითვალისწინებს. ხაშურობის დღესასწაულზე ვინც ყოფილხართ, დამეთანხმებით, სურამის სტენდი, განსაკუთრებულად გიზიდავს, თვალში გხვდება და გეზს სწორედ იქით იღებ. როგორც თვითონ ამბობს, ყველაზე ბედნიერი მაშინაა, როცა სხვა ადამიანების ბედნიერების მიზეზია.

ნონა ფხიკიძე-დიზაინერი:

-სურამში დავიბადე და გავიზარდე, სპეციალობის მიღების შემდეგ, ისევ სურამს დავუბრუნდი. ჯერ ეკონომიური ტექნიკუმი დავამთავრე და ჩემი პროფილით გავაგრძელე სწავლა. მოხდა ისე, რომ დახელოვნების ინსტიტუტში, გია მურღულიასთან დაწყებითი განათლება-ხელოვნებათმცოდნეობა გავიარე. სურამში დაბრუნების შემდეგ (ეს ის პერიოდია, როდესაც სამსახურებიც და თავის გატანაც ძალიან ჭირდა), ბავშვთა სახლში დავიწყე მუშაობა. იქ იყო ქალბატონი დეიდა ვერა ურთქმელიძე, მან აღმოაჩინა და გააცოცხლა ჩემში ის უნარები, რაც ბავშვობიდან მქონდა-ვხატავდი, ვძერწავდი, ვკერავდი. როდესაც მოხუცდა, სახელოსნო და საგამოფენო სივრცე, იქ მცხოვრები ბავშვებიანად, მე გადმომაბარა-შევუდექით პროცესს, ძალიან ბევრ გამოფენაში ვიღებდით მონაწილეობას, სადაც წარმატებებს ვაღწევდით. თოთხმეტი წელი ვიმუშავე, დღეს, როცა სადღაც მივდივარ, სულ პროცესში ვარ, ყველა ხე, ყვავილი ან ინსპირაციაა ჩემთვის, ან მასალა, რომელსაც ახალ სიცოცხლეს მივცემ. ქარგვის გარდა, ბისერებითაც ვაკეთებდი სხვადასხვა ნივთებს, არც ერთი ჩემი ნამუშევარი არ გამიყიდია არასდროს, ძირითადად ვჩუქნიდი, როცა მოწონდათ.

- განსხვავებული პროფესიის ადამიანი, როგორ მიხვედით იქამდე, რასაც დიზაინერობა ჰქვია?

-ბავშვთა სახლის დაშლის შემდეგ, სურამის კულტურის სახლში დავიწყე მუშაობა. შემდეგ უკვე დირექტორად დავინიშნე. 2011 წელს, ჩემმა მეგობარმა, ირინა ჩადუნელმა, რომელმაც იცოდა ჩემი შესაძლებლობები და გატაცებები, შემომთავაზა, მისი ახლობლის დაბადების დღის დიზაინი გაგვეკეთებინა, იდეა მომეწონა და ლილოში, აქსესუარების და დეტალების საყიდლად წავედით. ის პერიოდია, როცა ფინანსურად არც ისე კარგი პერიოდი გვედგა ოჯახში, მახსოვს, 150 ლარი მქონდა საწყისი თანხა. ის დაბადების დღე თეთრ და

იისფერ ფერებში გავაკეთეთ, ძალიან მოეწონათ და იქიდან უკვე დაიწყო შემოთავაზებები, სამეგობრო და მერე უკვე კომერციულიც. დღეს უკვე, მადონა კურტანიძესთან ერთად ვქმნი სხვადასხვა დღესასწაულებს.

- ფასები რამდენად ხელმისაწვდომია დამკვეთისთვის?

-დღემდე ძალიან მიჭირს და უხერხულობას მიქმნის, როცა საქმე ჩემი შრომის ანაზღაურებას ეხება, მაქსიმალურად ვცდილობთ, მათ ბიუჯეტს მოვერგოთ და უკმაყოფილო არ გავუშვათ დამკვეთი. გვესმის, რომ მისთვის მნიშვნელოვანი დღეა და ვცდილობთ, დასამახსოვრებელიც გავხადოთ. არასდროს დამავიწყდება, 200 ლარი ავიღეთ პირველი შეკვეთიდან, სადაც აქსესუარებში 150 ლარი გვქონდა გადახდილი, თუმცა, ეს იყო ის სასიამოვნო სტარტი, რომელმაც აქამდე მოგვიყვანა. დღესაც, მაქსიმალურად ვერგებით მომხმარებელთა ფინანსურ მდგომარეობას.

_ძირითადად, რას გიკვეთავენ?

-თავდაპირველად, ქორწილები და ბოლო ზარები იყო. არც რესტორნები იყო ადრე და არც კულტურა ამის. დღეს მდგომარეობა შეიცვალა, ყველა ცდილობს, განსხვავებული და სამახსოვროდ დარჩეს ეს დღე მათ ცხოვრებაში. ბოლო ხუთი წელია, ნათლობების დეკორაციების კეთა შემოვიდა, გავაკეთე სახელობითი წარწერები, რაც პირველი იყო და ძალიან მოწონთ.

_რას სთავაზობთ თქვენთან მოსულ მომხმარებელს?

-ყოველთვის ვუსმენ დამკვეთს, ვითვალისწინებ მათ გემოვნებას, სურვილს, მოთხოვნილებებს. ველა ნამუშევარი, ქორწილი ქინება ეს თუ სხვა დღესასწაული, ინდივიდუალურად კეთდება დამკვეთისთვის და არასდროს ვიმეორებთ დიზაინს. ყველა ტიპის მომსახურებას ვუწევთ, შეუძლიათ მოვიდნენ, თავიანთი სურვილები გვითხრან და ზუსტად ის დახვდებათ, რასაც ელიან-ტორტით, დეკორაციით, მაგიდების გაფორმებით, ფოიერკებით. ძალიან ბევრი რამის კეთება ვისწავლე ზურაბ შევარდნაძისგან, რომელსაც აქტიურად ვიყენებ პრაქტიკაში.

-ყველაზე დიდი დაკვეთა რა გახსენდებათ, რომელმაც კმაყოფილებით აგავსოთ?

-ყველაზე დიდი საქორწილო მომსახურება გავაკეთე თბილისში და ბათუმში. ყველა დეტალი და ინვენტარი მაქვს, რომელიც ყველა გემოვნების ადამიანს დააკმაყოფილებს. როცა არჩევანი მიდგება, საჭიროების ნივთებსა და სადეკორაციო აქსესუარებს შორის, მაღაზიიდან ყოველთვის ჩემი საქმისთვის საჭირო დეკორაციებით ვბრუნდები.-ორი კვირის წინ, ქორწილის დიზაინი გავაკეთე, თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანშიც. რესტორნის ადმინისტრაციას ძალიან მოეწონა და დაინტერესდა. მსგავსი დიზაინის კეთება, გაცილებით სამჯერ და უფრო მეტჯერ ძვირი ჯდება, ძალიან გაუკვირდათ, როდესაც თანხა ვუთხარი. სამომავლო თანამშრომლობა შემოგვთავაზეს.

-დამკვეთი რამდენად მოგყვებათ, გენდობათ?

- როცა საქმე ნდობას ეხება, ბოლომდე ენდობიან ჩვენს შეთავაზებას. რასაც ხელს მოვკიდებთ, ბოლომდე დიდი პასუხისმგებლობით ვაკეთებთ, გემოვნებით, მათთან ერთად გავდივართ დეტალებს, რომ საბოლოო შედეგი მათთვის სამახსოვრო იყოს. სკოლის ბოლო ზარებსაც ჩვენ ვუკეთებთ დეკორაციებს, წელს, ექვს სკოლას მოვემსახურებით. ძალიან მიყვარს ეს პროცესი, ჩემს ბავშვობაში მაბრუნებს.

-ყველაზე დიდი ემოცია რას მოაქვს თქვენთვის?

-ქორწილებისთვის დიზაინის შექმნა ყველაზე ემოციურია, უდიდესი ბედნიერების შეგრძნება დაყვება თან, რომ ულამაზებ ცხოვრებას და გზას ულოცავ ადამიანებს ცხოვრების ახალ ეტაპზე. ვცდილობთ, ინდივიდუალური იყოს ყველა დიზაინი, დამკვეთის ხასიათიდან გამომდინარე. როცა მირეკავენ და თანხაზე მითანხმდებიან, ვეკითხები, რამდენის გადახდა შეუძლიათ, რომ შესაბამისად მოვერგოთ, არავის ვტოვებთ უკმაყოფილოს, პირიქით, მათი ბედნიერი სახეები და მადლიერება არის ის გასამრჯელო, რომელიც გვაბედნიერებს.

გარდა ამ საქმის, ვქარგავ, ვძერწავ. მაშინ ვისვენებ, როცა რაღაცას ვაკეთებ, როცა პროცესში ვარ.სურამის სასტუმრო "ლეჯიანდროში", ზაფხულობით, მასთან ვუძღვები სახალისო, შემეცნებით გაკვეთილებს, სადაც ბავშვებთან ვმუშაობ და უდიდეს სიამოვნებას ვიღებ. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მაქვს საქმე, რომელიც მეც და სხვა ადამიანებსაც უდიდეს სიხარულს გვანიჭებს.

აი, ასეთი ქალბატონები ჰყავს ჩვენს მუნიციპალიტეტს - ნიჭიერები, პროფესიონალები, მადლიანები და საოცარი შემოქმედებითი უნარებით დაჯილდოებულნი. ერთ-ერთი მათგანია სწორედ ნონა ფხიკიძე.

თ. ჯავახიშვილი

მკითხველის საყურადღებოდ: გაზეთის დღევანდელი ნომრის მე-5 გვერდზე გამოქვეყნებული სტატიები საპირველაპრილო ხუმრობებია.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით
გაზეთი იბეჭდება თბილისში.